სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

05 ივნისი 2024

N 137

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში მეორე ეტაპზე გადასული ფილმის პროექტის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის შექმნის შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანების, „კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 16 აპრილის №78 ბრძანების, „კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 მაისის №109 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) 2024 წლის 30 მაისის №1 და 3 ივნისის №2 დასკვნების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ გამოცხადებული კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში მე-2 ეტაპზე გადასული ფილმის პროექტების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობა (შემდგომ - კომისია) შეიქმნას შემდეგი სახით:

ა) **ნათია ნარიმანიძე** - ეროვნული კინოცენტრის მთავარი ბუღალტერი;

ბ) **გიორგი ბოლოთაშვილი** - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის პირველი კატეგორიის სპეციალისტი;

გ) **ნიკოლოზ აბრამაშვილი** - პროდიუსერი;

დ) **ზურაბ მაღალაშვილი** - პროდიუსერი.

2. კომისიის მდივნად განისაზღვროს ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტი - **მაკა ლომია.**

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომისიის წევრებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები და იმავე ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა (გარდა ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლისა) შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი